ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4309642

ნომერი: AR1650137

თარიღი : 13.12.2018

გაცემის თარიღი : 19.12.2018

გაცნობის თარიღი : 20.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N43;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ბასიაშვილი პ/ნ 01019005422
- თბილისი, კ.ილურიძის ქ. #50

ორგანიზაცია:
- შპს MDM Group კოდი: 400070203

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება რომ ჯიხურისა და შლაგბაუმის განთავსება ხდება სერვიტუტით დატვირთულს ტერიტორიაზე, წარმოსადგენია იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე ვის სასარგებლოდაც არის დატვირთული მიწის ნაკვეთი სერვიტუტით, ამასთან საპროექტო შლაგბაუმი და ჯიხური საჭიროა დატანილ იქნას კონტურის სახით, და არა არეალი, როგორც ეს თქვენს შემთხვევაშია წარმოდგენილი.

ასევე გაითვალისწინეთ, ვინაიდან ჯიხურის განთავსების სიახლოვეს ბენზინგასამართი სადგური ფიქსირდება, საჭიროა დაიცვათ შესაბამისი ნორმები.

ამასთან მოგახსენებთ რომ წარმოდგენილი ფოტოსურათები და მათზე დამუშავებული ფოტომონტაჟი არასეზონურია, შესაბამისად წარმოსადგენია განახლებული, თარიღის ფიქსაციით ფოტოსურათები და მათზე დამუსავებული ფოტომონტაჟები.

ასევე გაითვალისწინეთ წარმოსადგენია უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.